დანართი

კატეგორიები და ინდიკატორები[1]

ადგილობრივი ხელისუფლების მედეგობა	
ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული აქტივობები და დეზინფორმაციასთან გამკლავების შესაძლებლობები	1. ჩემს რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება მედიაწიგნიერების გაზრდის მიზნით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს. 2. ჩემი რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში მედიაწიგნიერება საერთაშორისო სტანდარტებით ისწავლება. 3. ჩემს რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ საქმიანობს. 4. ჩემს რეგიონში ადგილობრივ ხელისუფლებას შესწევს უნარი გაუმკლავდეს კიბერუსაფრთხოების გამოწვევებს
ადგილობრივი ხელისუფლების გამჭვირვალობა	5. ჩემს რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას საკუთარი საქმიანობის შესახებ. 6. ჩემს რეგიონში დეზინფორმაციის საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლება თანამშრომლობს არასამთავრობო/ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და/ან დამოუკიდებელ ექსპერტებთან.
ადგილობრივი სასამართლოს დამოუკიდებლობა	7. ჩემს რეგიონში სასამართლო დამოუკიდებელია პოლიტიკური გავლენებისგან.
ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი	8. ჩემს რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ინტეგრაციას.
პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მედეგობა	
პარტიული პოლარიზაცია	1. ჩემს რეგიონში პარტიები და/ან პოლიტიკოსები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემებით მანიპულირებენ და ერთმანეთის წინააღმდეგ დეზინფორმაციას ავრცელებენ.
პარტიების და პოლიტიკოსების ანტიდასავლური დისკურსი	2. ჩემს რეგიონში მმართველი პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსები ეწევიან მედიის დისკრედიტაციას. 3. ჩემს რეგიონში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები ეწევიან მედიის დისკრედიტაციას. 4. ჩემს რეგიონში მმართველი პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსები ეწევიან არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას. 5. ჩემს რეგიონში მმართველი პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსები ეწევიან ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების დისკრედიტაციას.

1 კატეგორიები და ინდიკატორები ეყრდნობა დელფის მეორე ეტაპის კითხვარს.

საინფორმაციო გარემოს მედეგობა	
პოლარიზაცია ადგილობრივ მედიაში	1. ჩემს რეგიონში მედიასაშუალებები პოლიტიზებული და პოლარიზებულია და ერთმანეთის საწინააღმდეგო კუთხიდან აშუქებენ მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ სიახლეებს.
დეზინფორმაციის გავრცელების ხარისხი ადგილობრივ მედიაში	2. ჩემს რეგიონში საზოგადოების წევრები ან სხვა ჯგუფები ეკონომიკური ან პოლიტიკური მოტივით, ან ყურადღების მიპყრობის მიზნით შეგნებულად ავრცელებენ დეზინფორმაციას. 3. ჩემს რეგიონში დეზინფორმაციას ავრცელებენ მმართველი პარტიის და პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ მყოფი მედიასაშუალებები. 4. ჩემს რეგიონში, დეზინფორმაციას ავრცელებენ ოპოზიციური პარტიების და პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ მყოფი მედიასაშუალებები. 5. ჩემს რეგიონში დეზინფორმაციას ავრცელებენ რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებები ან/და რუსეთთან დაკავშირებული ორგანიზაციები და პირები.
ადგილობრივი მედიის გამოწვევები	6. ჩემს რეგიონში დამოუკიდებელი მედიასაშუალებები ფინანსური შემოსავლების ნაკლებობას განიცდიან. 7. ჩემს რეგიონში მედიასაშუალებებს შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ კიბერშეტევებს. 8. ჩემს რეგიონში საჯარო ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია ჟურნალისტებისთვის.
ადგილობრივი მედიის მუშაობა და გავლენა	9. ჩემს რეგიონში ადგილობრივი მედიასაშუალებები ეთნიკურ უმცირესობებს ინფორმაციას მათთვის გასაგებ ენაზე აწვდიან. 10. ჩემს რეგიონში ადგილობრივ მედიას საზოგადოებრივ აზრზე დიდი გავლენა აქვს. 11. ჩემი რეგიონის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებელი მრავალფეროვან, დაბალანსებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ მასალას ინფორმაციას ავრცელებს.
ადგილობრივი მედიის გამჭვირვალობა	12. ჩემს რეგიონში მოქმედი მედიასაშუალებების მფლობელების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა.
სამოქალაქო საზოგადოების მუშაობის ეფექტურობა	13. ჩემს რეგიონში მედიაწიგნიერების ასამაღლებლად სამოქალაქო/არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციები ატარებენ ტრეინინგებს და მართავენ შესაბამის ღონისძიებებს. 14. ჩემს რეგიონში ფაქტების გადამოწმებაზე (ფაქტ-ჩექინგზე) მუშაობენ სამოქალაქო/არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციები. 15. ჩემს რეგიონში სამოქალაქო/არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციების მიერ გადამოწმებული ინფორმაცია წვდება ფართო საზოგადოებას.

საზოგადოების მედეგობა	
საზოგადოების ნდობა სახლმწიფო ინსტიტუტების და მედიის მიმართ	1. ჩემი რეგიონის მოსახლეობაში არის ნდობა ჟურნალისტებსა და მედიის მიმართ. 2. ჩემი რეგიონის მოსახლეობაში არის ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.
საზოგადოების მიერ მედიის გამოყენება	3. ჩემს რეგიონში მოსახლეობის დიდი ნაწილი მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციას უპირველესად სოციალური მედიიდან იღებს. 4. ჩემი რეგიონის მოსახლეობაში არის ნდობა საზოგადოებრივი მაუწყებლის და მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიმართ. 5. ჩემს რეგიონში საზოგადოება ენდობა ადგილობრივ მედიასაშუალებებს (ტვ, რადიო, გაზეთი, ონლაინ) და მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.
საზოგადოების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა	6. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა (მაგ. არჩევნებში მონაწილეობა, პეტიციაზე ხელმოწერა, საჯარო მიმართვა, საჯარო დისკუსიებში მონაწილეობა, საპროტესტო გამოსვლები და ა.შ.) მნიშვნელოვანია.
საზოგადოების მედიაწიგნიერების უნარები	7. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილი დაინტერესებულია მედიაწიგნიერების (სხვადასხვა ფორმით მედიის წვდომის, ანალიზის, შეფასების და შექმნის უნარი) უნარების განვითარებით. 8. ჩემს რეგიონში მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე ინფორმაციის არაპოლიტიზებული, დამოუკიდებელი მედიასაშუალებებიდან მიღება. 9. ჩემს რეგიონში ასაკოვანი ადამიანები დეზინფორმაციას უფრო ადვილად იჯერებენ.
საზოგადოების დამოკიდებულება დასავლეთის და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ	10. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყანაში დემოკრატიას საფრთხე ემუქრება. 11. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებებს საფრთხე ემუქრება. 12. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება მნიშვნელოვანია. 13. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილი საქართველოს მთავარ მოკავშირედ დასავლეთს მოიაზრებს.
საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ	14. ჩემს რეგიონში საზოგადოების დიდი ნაწილი საქართველოს მთავარ მტრად რუსეთს მოიაზრებს. 15. ჩემს რეგიონში საზოგადოების გარკვეული ნაწილი ენდობა რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებს.
ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნა	16. ჩემი რეგიონის მოსახლეობაში ყველამ იცის სახელმწიფო ენა.